შპს. ნეოპრინტი
NEO PRINT
LTD. NEOPRINT

მისამართი: საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზ. 44'
მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
ტელ.: +995 32 2 52 90 22, 2 52 86 92, 2 53 02 91, 2 72 58 45,
მაგთი ფიქსი: +995 8 7 90 10 71 11, ფაქსი: +995 32 2 52 90 22,
ელ-ფოსტა: neoprint@caucasus.net

Address: 44ª Kazbegi Ave. Tbilisi, Georgia,
Mtskheta Region, Village Tserovani,
Tel.: +995 32 2 52 90 22, 2 52 86 92, 2 53 02 91, 2 72 58 45,
Magty Fix: +995 8 7 90 10 71 11, Fax: +995 2 32 52 90 22,
E-mail: neoprint@caucasus.net

18. IV 2023 წ

01/23

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 მარტის N21/2000 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებზე ინფორმაციას წარმოგიდგენთ ცხრილის სახით:

| N | შენიშვნა | გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია |
|---|---|---|
| 1 | სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №067536 ოქმის შესაბამისად, საწარმოში ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დანადგარები (რომლებიც არ იყო გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით): მუყაოს/ქაღალდის სატიხრე კიდეების დასამზადებელი<br><br>დანადგარი, ქაღალდის მილაკების დასამზადებელი დაზგა, სასაჩუქრე დანადგარი, ქაღალდის ცილინდრის ფორმის ყუთების დასამზადებელი ხითლების ჩასაწყობი ცილინდრის ფორმის ყუთების დასამზადებელი, საწარმოში დანადგარი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების<br><br>ფარგლებში განთავსებულია მუყაოს/ქაღალდის სატიხრე კიდეების დასამზადებელი დანადგარი, ქაღალდის კუთხეების დასამზადებელი დანადგარი, ბრენდირებული ყუთების (ხითლების ჩასაწყობი) დანადგარი, ბრენდირებული ყუთების შესაბამება ადმინისტრაციული დანადგარი, რაც არ შეესაბამება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №067536 ოქმში მითითებულ ინფორმაციას. საწარმოში ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასაზუსტებელია საწარმოში განთავსებული დანადგარების რაოდენობის და განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია. ასევე თითოეულ დანადგარში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული დანადგარების საპასპორტო მონაცემები (სახელწოდების ენაზე); | წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში ინფორმაცია დაზუსტებულია, კერძოდ, საწარმოში განთავსებულია ქაღალდის და მუყაოს, კერძოდ, საწარმოში განთავსებულია ქაღალდის კუთხეების დასამზადებელი დანადგარი და არა ქაღალდის მილაკების დასამზადებელი დაზგა. რაც შეეხება სასაჩუქრე ხითლების ჩასაწყობი ცილინდრის ფორმის ყუთების დასამზადებელ დანადგარს, ეს იგივეა, რაც ბრენდირებული ყუთების (ხითლების ჩასაწყობი) დანადგარი. ზემოთ აღნიშნული დანადგარების საპასპორტო მონაცემები წარმოდგენილია მე-2, მე-3 და მე-4 დანართებში, ხოლო მათზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების აღწერა - 4.1, 4.2 და 4.3 თავებში. |
| 2 | სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის | აღსანიშნავია, რომ შემოწმების დღეზე, ხმაურის და ჰაერის |



სსიპ გარემოს ეროვნულ. სააგენტო
"21" 04 2023
N 3424

Scanned by Easy Scanner

| | | |
|---|---|---|
| | პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებული/დასამატებელი დანადგარები მეორე, მაგრამ დამატებითი ემისიების წყაროებია. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს შემოწმებისას ჩატარდა ერთჯერადი გაზომვები, რომელშიც არ დაფიქსირდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე გადაჭარბება. თუმცა,<br><br>ვინაიდან ერთჯერადი გაზომვის დროს დაფიქსირებული შედეგი შესაძლებელია არ ასახავდეს ფაქტობრივად არსებულ მდგომარეობას, აღნიშნული მონაცემების გაზიარებისა და ანალიზისთვის, საჭიროა დამატებით წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია გაზომვების ჩატარების მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესახებ, ასევე გამზომი ხელსაწყოს საპასპორტო მონაცემები და ინფორმაცია მისი კალიბრაციის თაობაზე. | ხარისხის გაზომვები ჩატარდა სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და სკრინინგის ანგარიშის 5.1.2 თავში, წარმოდგენილი იყო აღნიშნული გაზომვებს შედეგები. საწარმოსთვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გაზომვების მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესახებ, ასევე გამზომი ხელსაწყოს საპასპორტო მონაცემები და ინფორმაცია მისი კალიბრაციის თაობაზე.<br><br>აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით წარმოგიდგენთ შპს „ნეოპრინტი"-ს 2022 წლის IV კვარტლის და 2023 წლის I კვარტლის თვითმონიტორინგის შედეგებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვები ჩატარდა M - 822 მოდელის ასპირატორით, რომელიც დაკალიბრებულია საკალიბრებელი ლაბორატორიის შპს „მეტროლოგის" მიერ. დაკალიბრება განხორციელდა N032897 სერთიფიკატითა და ინდიკატორული მილაკებით (იხ. დანართი 5 - დაკალიბრების სერთიფიკატი). მე-6 დანართში ასევე წარმოდგენილია ხმაურმზომის დაკალიბრების სერთიფიკატი. |

გაცნობებთ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ნეოპრინტი"-ს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „ნეოპრინტი"-ს დირექტორი: /ნათია ჯინჭარაძე/



Scanned by Easy Scanner